დასაქმების ბაზრის კვლევა

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის

2021 წელი



შინაარსი

დოკუმენტის შესახებ **3**

მეთოდოლოგია **3**

კვლევის მიზანი 3

გამოყენებული წყაროები 3

კვლევის შეზღუდვა და სირთულეები: 3

ფსიქოლოგიის პროფესიაზე მოთხოვნის შეფასების ზოგადი მიდგომა 4

შრომის ბაზრის მოკლე მიმოხილვა **5**

საერთაშორისო პროგნოზი 5

ფსიქოლოგია **6**

ფსიქოლოგის პროფესია 6

სექტორები სადაც დიდი ალბათობით იქნება მოთხოვნა ფსიქოლოგის პროფესიაზე 8

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები 8

ადრეული და სკოლამდელი განათლების და აღზრდის დაწესებულებები 8

სკოლებში ფსიქოლოგის საჭიროება 10

გამოკითხვის შედეგები 10

კერძო პრაქტიკის მქონე ფსიქოლოგები / ფსიქოთერაპევტები 16

ბიზნეს ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები 17

ფსიქოლოგიის პროფესიით აბიტურიენტების დაინტერესების მაჩვენებელი 17

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც 2021 წელს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამები ფსიქოლოგიაში 19

დაკვნა **20**

გამოყენებული წყაროები: **21**

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია შრომის ბაზრის მიმოხილვა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის. დოკუმენტი მომზადებულია გამოყენებითი კვლევების კომპანიის მიერ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო შეგვეფასებინა ერთის მხრივ იქნება თუ არა მოთხოვნა სტუდენტების მხრიდან ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და მეორეს მხრივ იქნება თუ არა დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა იმ პოზიციებზე სადაც საჭიროა ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის ქონა.

გამოყენებული წყაროები

კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

1. სამაგიდო კვლევა
2. მცირე ზომის გამოკითხვა
3. ონლაინ გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზი

სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა:

- ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევები
- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური სტატისტიკა დასაქმების, უმუშევრობის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ
4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ჩარიცხვების სტატისტიკა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე და 2021 წლის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ
5. საერთაშორისო პროგნოზები ფსიქოლოგიის პროფესიის ტენდენციების შესახებ

რაოდენობრივი კვლევა ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით - გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღი შრომის ბაზრის აქტორებმა, კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა, არსებობს თუ არა მოთხოვნა კონკრეტული პროფესიის კადრზე და რამდენად დამაკმაყოფილებელია არსებული კადრების კვალიფიკაცია.

ვაკანსიების ანალიზის ფარგლებში შესწავლილი იქნა ვაკანსიების საიტების მიერ ბოლო სამი თვის მანძილზე გამოქვეყნებული ვაკანსიები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

კვლევის შეზღუდვა და სირთულეები:

სამაგიდო კვლევა - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესასწავლად თითქმის ყველა კვლევა და მკვლევარი იყენებს მეთოდოლოგიას, რომელზე დაყრდნობითაც რთულია ზუსტად განვსაზღვროთ მოთხოვნადი პროფესიების ვიწრო კატეგორიები. უმეტესწილად კვლევებში გამოყენებულია პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორის უფრო მსხვილი კატეგორიები. ამდენად რთულდება ამ ზოგადი ტენდენციიდან გამოყო წინამდებარე კვლევის მიზნისთვის საჭირო პროფესია და სამუშაო პოზიციებზე მოთხოვნა.

გარდა ამისა, კვლევების უმეტესობის მიზანი არის მოთხოვნადი სამუშაო პოზიციების გამოვლენა და არა პროფესიის მოთხოვნის შეფასება. ზოგ შემთხვევაში პოზიცია და პროფესია ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა ფსიქოლოგიის შემთხვევაში ეს ყოველთვის ასე არაა. ფსიქოლოგის კვალიფიკაციის ადამიანს

რაოდენობრივი კვლევა - ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ზოგადი ტენდენციები, თუმცა შერჩევის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მოვადხდინოთ მონაცემები განზოგადება საქართველოში არსებულ ყველა დამსაქმებელზე.

ვაკანსიების ანალიზი - ვაკანსიების კვლევის საშუალებით, ინფორმაციას ვიღებთ იმ დამსაქმებელთა შესახებ, რომლებიც იყენებენ ვაკანსიების საიტის მომსახურებას და კვლევის მიღმა გვრჩება ის დამსაქმებლები, რომლებიც კადრების მოძიებისთვის არ იყენებენ ამ საშუალებას.

სწორედ კვლევის შეზღუდვის გამოსასწორებლად შეირჩა ერთდროულად კვლევის რამოდენიმე მეთოდის გამოყენება შედეგების მისაღებად.

ფსიქოლოგიის პროფესიაზე მოთხოვნის შეფასების ზოგადი მიდგომა

ამატომ პროფესიაზე მოთხოვნის არსებობის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ირიბი მეთოდებით. პირდაპირი წესით იმის გაზომვა რა რაოდენობის კადრი იქნება საჭირო უახლოეს მომავალში უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია ან ძალიან დიდ რესურსებთანაა დაკავშირებული. თუმცა სხვადახვა მონაცემებზე და ტენდენციებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ იქნება თუ არა მოთხოვნა რომელიმე პროფესიის კადრზე. კონკრეტულად ფსიქოლოგის პროფესიაზე ამჟამად და მომავალში მოთხოვნის არსებობაზე მიმიუთითებს შემდეგი:

1. ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული ადამიანური რესურსის დეფიციტი;
2. ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციებში ფსიქოლოგიური განათლების მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა
3. სკოლებში ფსიქოლოგისა და სპეცმასწავლებლის საკადრო დეფიციტი;
4. მოსახლეობაში ფსიქოთერაპევტის კონსულტაციაზე მზარდი მოთხოვნა;
5. სახელმწიფოს მხრიდან სასამართლო სისტემის ეფექტურობაზე ზრუნვა და გაფართოება;
6. სოციალური სერვისების განვითარების საჭიროება;
7. ბიზნეს ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნა;
8. აბიტურიენტთა სტატისტიკური მაჩვენებლები და კონკურსების დინამიკა

შრომის ბაზრის მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო პროგნოზი

საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე ამათუიმ პროფესიაზე მოთხოვნის მიმოხილვა საინტერესოა საქართველოს რეალობისთვისაც. თუ რომელიმე პროფესიაზე მოთხოვნა იზრდება ან ნარჩუნდება ეს შეიძლება მივიღოთ ირიბ მტკიცებულებად იმისა რომ საქართველოშიც იქნება ამ პროფესიაზე მოთხოვნა მომავალი წლების განმავლობაში. ამდენად დავინტერესდით როგორია ფსიქოლოგის პროფესიაზე პროგნოზები სხვა ქვეყნებში:

- აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიუროს (U.S. Bureau of Labor Statistics)[1] მიხედვით ფსიქოლოგიის დარგში დასაქმების შესაძლებლობები მომავალი 10 წლის განმავლობაში გაიზრდება. დასაქმება ფსიქოლოგიის დარგში გაიზრდება იმის გამო რომ გაიზრდება მოთხოვნა სკოლის ფსიქოლოგებზე, საავადმყოფობში, სოციალური მომსახურების სააგენტოებში, ჯანრმთელობის დაცვის ცენტრებში, ნივთიერებებზე დამოკიდებულების სამკურნალო/რეაბილიტაციის კლინიკებში, საკონსულტაციო კომპანიებში და სხვა კერძო კომპანიებში. ფსიქოლოგების საჭიროება ასევე გაიზრდება ხანდაზმულებთან მომუშავე ორგანიზაციებში, რადგან მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება და ხანდაზმულთა ჯგუფები სულ უფრო იზრდება.
- სკოლის ფსიქოლოგებზე მოთხოვნის გაზრდა გამოწვეული იქნება იმით რომ ბოლო კვლევებმა აჩვენა რამდენად ახდენს გავლენას მოსწავლეების მენტალურ ჯანმრთელობა და ქცევითი პრობლემები როგორიცაა ბულინგი გავლენას ახდენს სწავლაზე. სკოლის ფსიქოლოგებზე მოთხოვნა გაიზრდება როგორც ზოგადი კონსულტირებისთვის, ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან სამუშაოდ, პერსონალური კრიზისის ან ნარკოტიკული დამოკიდებულების დაასაძლევად.
- შრომის სტატისტიკის ბიუროს მიხედვით მომავალში სულ უფრო მოთხოვნადი იქნება ინდუსტრიულ-ორგანიზაციული ფსიქოლოგები სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში. ამ სპეციალიაზაციის ფსიქოლოგები ეხმარებიან ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციაში, თანამშრომელთა პროდუქტულობის გაზრდაში, კომპანიები ფსიქოლოგების ცოდნას იყენებენ გამოკითხვის დიზაინის შემუშავებაში, შედეგების ანალიზში, მარკეტინგული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში, სტატისტიკურ ანალიზში. ფსიქოლოტების უნარები გამოყენებითი კვლევების განხორციელებაში მოთხოვნადი იქნება მარკეტინგულ კვლევებში უახლესი 10 წლის განმავლობაში.
- იმავე წყაროზე დაყრდნობით 2019-2029 წლების განმავლობაში აშშ-ში მოთხოვნა ფსიქოლოგებზე გაიზრდება 3%-ით.

[1] https://www.bls.gov/ooh/life-physical-and-social-science/psychologists.htm

ფსიქოლოგია

ფსიქოლოგის პროფესია

პროფესიების საერთაშორისო კლასიფიკატორში ფსიქოლოგის პროფესია და საქმიანობა აღწერილია შემდეგნაირად:

> *ფსიქოლოგები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იკვლევენ და სწავლობენ ადამიანის მენტალურ პროცესებსა და ქცევებს. ამ ცოდნას იყენებენ პერსონალური, სოციალური, საგანმანათლებლო თუ პროფესიული დახვეწისა და განვითარების ხელშესაწყობად.*

ფსიქოლოგების მიერ შესასრულებელი ამოცანებია:

1. კვლევის დაგეგმვა და ჩატარება, აგრეთვე, გონებრივი, ფიზიკური და სხვა მახასიათებლების (მაგ.: ინტელექტის, შესაძლებლობის, უნარების, პოტენციისა და სხვა) გაზომვას, შედეგების შეფასებასა და რჩევების მიცემას;

2. ინდივიდის აზროვნებასა და ქცევაზე მემკვიდრეობითი, სოციალური, პროფესიული და სხვა ფაქტორების გავლენის ანალიზი;

3. ინდივიდებთან და ჯგუფებთან საკონსულტაციო თუ თერაპიული შეხვედრების ჩატარება და მეთვალყურეობა

4. საჭირო კონტაქტების (მაგ.: ოჯახის წევრებთან, საგანმანათლებლო ავტორიტეტებსა თუ დამსაქმებელთან) შენარჩუნება, პრობლემის შესაძლო გადაჭრისა და მოგვარების გზებისათვის რჩევების მიცემა;

5. სხვა პროფესიონალებთან ერთად მენტალური დაავადებებისა და ემოციური თუ ინდივიდუალური აშლილობის დიაგნოზის, მკურნალობისა და პრევენციისას ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლასა და განხილვას;

6. სამეცნიერო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას;

7. მასწავლებლების მიერ დაგეგმვის მეთოდებში გამოსაყენებლად და ინსტრუქციების შინაარსში გასათვალისწინებლად არსებული მიღწევების, დიაგნოზებისა და მოსალოდნელი კვლევების ფორმულირებას;

8. სამუშაო ფორმებზე, სამუშაო ჯგუფებზე, მორალურ მახასიათებლებზე, მოტივაციის ელემენტებზე, ხელმძღვანელობასა და მენეჯმენტზე კვლევა-ძიების ჩატარებას;

9. ადამიანის ქცევის აღქმისა და გაგებისათვის თეორიების, მოდელებისა და მეთოდების ჩამოყალიბებას.

ამავე კლასიფიკატორში ფსიქოლოგები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:

- კლინიკური ფსიქოლოგი;
- განათლების ფსიქოლოგი;
- ორგანიზაციის ფსიქოლოგი;
- ფსიქოთერაპევტი;
- სპორტული ფსიქოლოგი;
- კლინიკური ფსიქოლოგი.

ფსიქოლოგის პროფესია ევროკავშირისა ქვეყნებისა და აშშ-სგან განსხვავებით საქართველოში არ არის რეგულირებადი პროფესია. ამდენად ამ პრფესიაში შესვლა შედარებით უფრო ადვილია.

სექტორები სადაც დიდი ალბათობით იქნება მოთხოვნა ფსიქოლოგის პროფესიაზე

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები

„საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის“ შეკვეთით და ღია საზოგადოების ფონდის დაფინანსებით „გამოყენებითი კვლევების კომპანიის“ მიერ 2018 წელს ჩატარდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 70%-ს აქვს ადამიანური რესურსის დეფიციტის პრობლემა. ორგანიზაციებმა აღნიშნეს რომ აქვთ შემდეგი სახის კადრის დეფიციტი:

- ქცევითი თერაპევტი
- ადრეული განვითარების სპერციალისტი
- სოციალური მუშაკი
- ენისა და მეტყველების თერაპევტი
- სპეცპედაგოგი
- ხელოვნებითი თერაპევტი
- სენსორული თერაპევტი
- უკუპაციური თერაპევტი
- ფსიქოთერაპევტი

კვლევის შედეგებმა ცხადყო რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციებში კვალიფიციურ კადრზე არსებული დეიციტის დაახლეობით 30% მოდის იმ სპეციალობებზე, რომელთაც სჭირდებათ ფსიქოლოგიური განათლება.

ადრეული და სკოლამდელი განათლების და აღზრდის დაწესებულებები

2016 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო **„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი“** [2] **,** რომელიც აწესრიგებს საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონის მიხედვით დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ინკლუზიური განათლება ბავშვებისთვის მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მახასიათებლებისა.

2017 წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტის საკრებულოებმა დაამტკიცეს „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტები“ [3]. სტანდარტების მიხედვით ადრეული და სკოლამდელი

[2] 2016 წლის 8 ივნისს დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი (N5366-IIს)

[3] „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი

აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს უნდა ჰყავდეთ **ბავშვთა ინკლუზიის მხარდამჭერ პერსონალი, რომელთაც** უნდა შეეძლოს შემდეგი ფუნქციების განხორციელება:

- ბავშვთა განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა და ამ კუთხით საგანმანათლებლო პერსონალთან და მშობლებთან მუშაობა
- პერსონალის კონსულტირება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა ქცევის პოზიტიური მართვისა და მათი ჯგუფში ჩართვის ეფექტურ სტრატეგიებთან დაკავშირებით
- მშობლების ცნობიერების ამაღლება ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით

2017 წელს „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით არასამთავრობო ორგანიზაცია „საუნჯემ“ განახორციელა კვლევა, რომლის ფარგლებში ჩატარდა ზუგდიდის და ფოთი მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი განათლების და აღზრდის დაწესებულებების (ბაღების) საჭიროებათა შესწავლა. კვლევამ მოიცვა 20 დაწესებულება. კვლევის შედეგად დადგინდა რომ ზუგდიდისა და ფოთის მუნიციპალიტეტების ბაღების 40% ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი, ამასთან დაწესებულებებს თავად არ ჰყავთ ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი, ბაღებს ემსახურებიან „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის“ ფსიქოლოგები, თუმცა ახალი სტანდარტის მიხედვით სააღმზრდელო დაწესებულებებს თავად უნდა ჰყავდეთ ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალი.

ინკლუზიის მხარდამჭერი პერსონალის სააღმზრდელო დაწესებულებებში არსებობის აუცილებლობას ყველა დაკავშირებული მხარე აღიარებს, თუმცა ამავდროულად აცხადებენ რომ მსგავსი კვალიფიკაციის კადრის მოძიება პრობლემური იქნება მათ რეგიონში.

საჭიროებათა შეფასების ჩატარების პროცესში არ იყო ახალი სტანდარტები დამტკიცებული, თუმცა შესწავლილი დაწესებულებების თითქმის 50% აცხადებდა რომ მათ აქვთ ფსიქოლოგის და სპეციალური პედაგოგის კადრის საჭიროება. ახალი სტანდარტის დამტკიცება კიდევ უფრო გაზრდიდა კადრების დეფიციტს ბაღებში.

საერთო ეროვნული კვლევა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რომლიც მიზანი იქნებოდა საკადრო რესურსის დეფიციტის შესწავლა არ ჩატარებულა (ან ღია წყაროებში არ იძებნება ასეთი კვლევა), თუმცა დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ზუგდიდის და ფოთის მუნიციპალიტეტების ბაღებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალოგიური მდგომარეობა იქნება სხვა მუნიციპალიტეტების ბაღებშიც და ფსიქოლოგის პოზიციაზე გაჩნდება მოთხოვნა პოსტპანდემიურ პერიოდში.

დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №60 2017 წლის 6 ოქტომბერი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №22/29, 2017 წლის 29 სექტემბერი, ქ. ფოთი

სკოლებში ფსიქოლოგის საჭიროება

საქართველოში მოქმედი 2085 სკოლიდან ფსიქოლოგის შტატი ჰყავს მხოლოდ 178 სკოლას, ჯამში 261 თანამშრომელი, რაც ნიშნავს რომ ამ ეტაპზე ფსიქოლოგის შტატი ჰყავს სკოლების 11%-ს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეირ იგეგმება რომ საგანმანათლებლო რესურს ცენტრებს დაემატება ფსიქოლოგის კადრი. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 70 რესურსცენტრი, თუმცა ჯერ ჯერობით არაა ცნობილი ჯამში რამდენი ფსიქოლოგის დამატებას გეგმავს სამინისტრო.

სსიპ- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. დღეისათვის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი 7 ქალაქში ფუნქციონირებს და იქ საერთო ჯამში 40 ფსიქოლოგია დასაქმებული.[4]

ამ ინიციატივას დადებითად აფასებენ სფეროს ექსპერტები, თუმცა ყველა თანხმდება რომ საქართველოში კვალიფიციური ფსიქოლოგების დეფიციტი არსებობს და განსაკუთრებით ისეთი კადრის რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობისთვის საჭირო კვალიფიკაცია/გამოცდილება.

ინტერნეტში სხვადასხვა ონლაინ გამოცემების მიერ მომზადებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ რა გამოწვევების წინაშე დადგებიან სკოლები განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივის განხოციელების შემთხვევაში:

- კვალიფიციური ფსიქოლოგების დეფიციტი, განსაკუთრებით რეგიონებში
- მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგების მოტივაცია დასაქმდნენ საგანმანათლებლო სფეროში
- სკოლებში ფსიქოლოგებს მოუწევთ სხვადასხვა სახის პრობლემებთან მუშაობა: ბავშვები, რომელთაც აქვთ ქცევითი პრობლემები, ჰიპერაქტიულობა და ყურადღების დეფიციტის სინდრომი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, ძალადობის მსხვეპლი ბავშვები, შესაბამისად სხვადასხვა პრობლემის მქონე ბავშვს სხვადასხვა სპეციალიზაციის ფსიქოლოგი სჭირდება. აქედან გამომდინარე რთული იქნება ისეთი კადრის მოძებნა რომელიც სხვადასხვა პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება და კვალიფიკაცია ექნება. ამ პრობლემბის გადაჭრა შესაძლებელია იმგვარად რომ სკოლაში ერთზე მეტი ფსიქოლოგი მუშაობდეს, ეს კი დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული და კადრის რეფიციტის პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს.

გამოკითხვის შედეგები

[4] http://liberali.ge/articles/view/37015/fsiqologebi-skolashi--ramdenad-realuria-saministros-initsiativa

2020 წელს გამოყენებითი კვლევების კომპანიამ ჩაატარა სკოლების ხელმძღვანელების გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო შეეფასებინა სკოლებში ფსიქოლოგის პოზიციაზე არსებული მოთხოვნა. ამ მიზნით გამოიკითხა საქართველოს სკოლების ხელმძღვანელები და მაღალი რგოლის მენეჯერები (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მოადგილე)

გამოკითხვა ჩატარდა Survey Monkey-ს საშუალებით. კვლევაში მონაწილეობის მოთხოვნა გაგზავნილი იქნა ყველა მოქმედის სკოლისთვის. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 446-მა რესპონდენტმა.

კვლევამ აჩვენა რომ გამოკითხვაში მონაწილე სკოლების მხოლოდ 11,7%-ს ჰყავს ფსიქოლოგი სკოლაში.

დიაგრამა 1. სკოლის ფსიქოლოგები გამოკითხულ სკოლებში



სკოლების წარმომადგენელთა 80% თვლის, რომ სკოლაში აუცილებელია არსებობდეს ფსიქლოლოგი. ამ პასუხთან ერთად რეპონდენტთა 5%-მა, ამავდროულად აღნიშნა სხვა პასუხებში, რომ აუცილებელია ფსიქოლოგი იყოს კვალიფიციური.

დიაგრამა 2. საჭიროება



მათ შორის ვისაც ჰყაცს ფსიქოლოფი, ნახევარს მაინც აქვს ფსიქოლოგის სპეციალობის მქონე კადრის მომსახურებაზე მეტი მოთხოვნა

დიაგრამა 3. საუკმაყოფილებელი მოთხოვნა



ყველაზე მეტად, ფსიქოლოგიის სპეციალობის კადრზე მოთხოვნას განაპირობებს: სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა არსებობა სკოლაში, მოსწავლეთა მხრიდან ფსიქოლოგის მომსახურებაზე

მზარდი მოთხოვნა და მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ფსიქოლოგის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნა.

ფსიქოლოგის სპეციალისტი გააძლიერებს ინკლუზიურ კულტურას, ნებისმიერ ასაკში დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგის დახმარებას და კონსულტაციას და ეს მოთხოვნა არის როგორც სკოლის მხრიდან ისე მშობლების მხრიდან, კვალიფიციურის ფსიქოლოგის დახმარებას მეტ-ნაკლებად საჭიროებენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლებიც, მოვლენების სწორად ანალიზისათვის, სკოლაში სწავლობენ აზერბაიჯანელი მოსწავლეები და მათ ინტეგრაციის პროცესს სჭირდება ფსიქოლოგის დახმარება,

დიაგრამა 4. რა განაპირობებს მოთხოვნას



გამოკითხულთა უმეტესობას ვაკანსია ფსიქოლოგის შტატზე არ გამოუცხადებია მიუხედავად საჭიროებისა. გამოკითხულთა მხოლოდ 6%-ს აქვს ასეთი გამოცდილება. მათ შორის ვისაც გამოუცხადებია ვაკანსია, ჯამში 73,34% გასჭირვებია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის მოძიება.

დიაგრამა 5. კადრის მოძებნის სირთულე



მომავალი სამი წლის განმავლობაში უმრავლესობა 83,4% გეგმავს ფსიქოლოგის შტატის შექმნას ან ფსიქოლოგთა რაოდენობის გაზრდას, რაც ფსიქლოგებზე მზარდ მოთხოვნაზე მიუთითებს.

დიაგრამა 6. გეგმები ფსიქოლოგის შტატის დამატებასთან დაკავშირებით



სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აზრით სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციებს უმთავრესად უნდა შეადგენდეს: მოსწავლეთა პოზიტიური ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება,

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა, ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი კავშირის ჩამოყალიბება და დაცული, პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა.

დიაგრამა 7. რა უნდა შეეძლოს სკოლის ფსიქოლოგს



გარდა ფსიქოლოგიის პროფესიის დამადასტურებელი დიპლომისა, დამსაქმებელთა აზრით სკოლის ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს: ბავშვის კოგნიტური, ემოციური, ფუნქციური და კომუნიკაციური უნარების შეფასების გამოდილება, ფსიქოკონსულტირებისა და დიაგნოსტირების გამოცდილება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან/მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება.

დიაგრამა 8. რა საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა ჰქონდეს სკოლის ფსიქოლოგს



კერძო პრაქტიკის მქონე ფსიქოლოგები / ფსიქოთერაპევტები

საქართველოში ფსიქოთერაპიული საქმიანობა არ რეგულირდება კანონმდებლობით. შესაბამისად არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ თუ რამდენი ფსიქოთერაპევტი ეწევა კერძო პრაქტიკას ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და კორექციის სფეროში. შესაბამისად არ არსებობს იმის რაოდენობრივი მონაცემები, თუ რამდენად მზარდია ამ სერვისი მომხმარებელთა რაოდენობა. თუმცა ინტერნეტში განთავსებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ მკვიდრდება ფსიქოთერაპევტთან კონსულტირების კულტურა საქართველოში. ექსპერტების აზრით ფსიქოლოგიურ კონსულტირებაზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა პანდემიის პერიოდში, სოციალური იზოლაციის, ფსიქოლოგიური სტრესების და მომატებული შფოთიანობის ფონზე სულ უფრო მეტად სჭირდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური კონსულტირების სერვისები. ამ სერვისებზე მოთხოვნა პოსტპანდემიურ პერიოდშიც მზარდი იქნება.

ბიზნეს ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები

ბიზნეს კომპანიებში სულ უფრო იზრდება ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებზე და ორგანიზაციულ ფსიქოლოგებზე მოთხოვნა. რაც უფრო მსხვილია ბიზნეს კომპანია, მით უფრო მეტად დგას ამ ტიპის კადრის ყოლის საჭიროება.

საქართველოში არ იწარმოება ოფიციალური სტატისტიკა, რამდენ კომპანიას ჰყავს ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი. თუმცა პანდემიამდე პერიოდში (2019 წელი) ერთი წლის განმავლობაში ონლაინ გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზმა აჩვენა რომ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი საკმაოდ მოთხოვნადია. მაგალითისთვის 2019 წელს მხოლოდ www.jobs.ge პლატფორმაზე გამოცხადდა 89 ვაკანსია ადამიანური რესურსების მენეჯერის პოზიციაზე. დიდი ალბათობით ამ პოზიციაზე მოთხოვნა შენარჩუნდება პოსტპანდემიურ პერიოდში.

ფსიქოლოგიის პროფესიით აბიტურიენტების დაინტერესების მაჩვენებელი

ფსიქოლოგიის პროფესიით აბიტურიენტების დაინტერესების მაჩვენებელის შესასწავლად, გავაანალიზეთ 2014-2018 წლებში კონკურსის მაჩვენებელი. ინფორმაციის წყაროდ გამოყენებული იქნა NAEC ის მონაცემთა ბაზები. კონკურსის მაჩვენებელი წარმოადგენს შესაბამის პროგრამაზე დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა რაოდენობის თანაფარდობა ადგილების რაოდენობაზე. როგორც აღმოჩნდა სტუდენტების დაინტერესება ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამით იზრდება და მაღალია დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა.

დიაგრამა 9 ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის კონკურსის ინდექსი, 2014-2018 წელი


კონკურსის ინდექსი
35
30
25
20
15
10
5
0
14.9
15.3
21.5
20.7
28.9
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც 2021 წელს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამები ფსიქოლოგიაში

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საბაკალავრო პროგრამა ფსიქოლოგიაში გამოცხადებული აქვს შემდეგ უნივერსიტეტებს:

1.	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
2.	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
3.	ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
4.	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5.	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
6.	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7.	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8.	შპს "გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი"
9.	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
10.	შპს - ევროპის უნივერსიტეტი
11.	შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
12.	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი
13.	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
14.	შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
15.	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

დაკვნა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებულმა მიმოხილვამ აჩვენა რომ საქართველოში დიდი ალბათობით იქნება მოთხოვნა ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე კადრზე. ფსიქოლოგის საჭიროება უახლოეს პერიოდში შენარჩუნდება და შესაძლოა გაიზარდოს შემდეგ სექტორებში:

- სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ზოგადსაგანმანათლებლო საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან მომუშავე ორგანიზაციებში
- ზრუნვაზე ორიენტირებულ დაწესებულებებში
- ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში
- საშუალო და დიდი ზომის ბიზნეს ორგანიზაციებში (როგორც HR ან ორგანიზაციული ფსიქოლოგი)
- ინდივიდუალური კონსულტირება (ფსიქიკური კორექცია, ფსიქოთერაპია)

რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოცხადებულ ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებზე კონკურსი მზარდია ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში. ეს ნიშნავს რომ აბიტურიენტების მხრიდან ამ ეტაპზე მოთხოვნა ფსიქოლოგიის პროგრამის მიმართ იქნება.

გამოყენებული წყაროები:

Bureau of Labor Statistics, U.S. Department of Labor, *Occupational Outlook Handbook*, Psychologists, at https://www.bls.gov/ooh/life-physical-and-social-science/psychologists.htm (ნანახია 1 მაისი, 2021).

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, https://www.naec.ge/?fbclid=IwAR0L4dyVl9uy0zGWw9Sz-0McvntM8Q3aK37oekfHoUxHspb4csU4VVI8DKI#/ge/post/2249